

1425  
2008

# არსენალი

საქართველოს  
არსენალი

2 (45). 25 იანვარი - 7 თებერვალი, 2008. „კვირის პალიტრა“, სამხედრო-ინჟინერიული ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

**ოღარნიშებული  
პართული ბანკები  
საქვასიანი სუპრათესონი  
ქნებინან**


**გადმოვხები და...  
პარაშუტი  
არ გაიხსნა...**

**ლიფტკრიბის  
არალი**

**საპარადისო  
სავსაყუდალი**

**საქვასიის  
ქვეყნების  
2008 წლის ბიუჯეტი**

**„არსენალი“ თვეში ორჯერ გამოდის**





„... გელმუხები  
და აარაუზები  
არ გეისხნა...“

30



„შავი  
შაუხანის“  
„შვილოგილი“  
ქართულ ჯარებში

52



გეგების  
სამარადისო  
საყოფელი

33

მოდერნიზებული  
ქართული  
T-72-ები კავკასიაში  
საუკეთესონი იქნებიან

8



გლიხკრიგის  
იარაღი

40



„ჯაღონური  
ცხესლი“  
გეროკისებების  
წინააღმდეგ

24

# სარჩევი

- კალენდოსკოპი
- 4 უცხოური ამბები
- მოდერნიზაცია
- 6 მოდერნიზებული ქართული T-72-ები ავჯასიაში საუკეთესონი იქნება
- ოფიციალური გვერდი
- 9 ახალი სამხედრო ბაზა გორში
- საფრთხე
- 10 რუსეთს დღესაც რჩება დიდი როლდენობით ქიმიური იარაღი
- მდიდის როლი
- 13 ერთი ფოტოს ისტორია
- კარტოგრაფია
- 15 ამერიკელი ექსპერტები ქართველი კარტოგრაფების მიერ შედგენილი რუკებით სარგებლობენ
- სპეცსამსახურები
- 18 ოცდაათ ვერცხლად გაყიდული სამშობლო
- 20 ჩინეთის სპეცსამსახურები
- სპეცოპერაციები
- 24 „ჯადოსნური ცეცხლი“ ტერორისტების წინააღმდეგ
- იარაღი
- 26 ებრაული GRADLAR-ის დახმარებით ქართული არტილერია
- 45 კმ-ზეც მისწვდება მტერს
- პროფესიონალი
- 30 „... გაღმოვხბი და ჰარაშუტი არ გაიხსნა...“
- ფლოტი
- 33 სამარადისო სამყოფელი
- თეგენდა
- 40 ბლიცკრიგის იარაღი
- შეიარაღება
- 44 ავჯასიის ქვეყნების 2008 წლის სამხედრო ხარჯები
- მუზობლო კარისაო
- 48 ჩრდილოავჯასიის სამხედრო ოლქის გეგმები
- კროსკორდი
- 51 არსენალტვიორდი
- არსენალის იარაღის მალაზია
- 52 ამერიკელი „შავი შაშხანის“ „შვილობილი“ ქრისტე

## კვლევითი სკანი

გორის ახალ სამხედრო ბაზაზე ქართველი სამხედროების ხელში საბჭოთა „კალაშნიკოვების“ ამერიკული ავტომატური კარაბინებით M4-ებით შეცვლას უფრო დემონსტრაციული და პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ვინც კი ბოლო დროს შესულა ქართული არმიის შეიარაღების ფარეხებში ან დაუთვალა იერებია ყაზარმების საიარაღო ოთახები, დარწმუნდებოდა, რომ საბჭოთა სტანდარტების შეიარაღების შეცვლა თანამედროვე დასავლური წარმოების იარაღითა და შეიარაღებით მართლაც მიმდინარეობს და არცთუ ისე მცირე ტემპით.

ეს კი უდავოდ მისასაღებებელია, რადგან ქართული არმიის არსენალში თანდათანობით შემოდის ის შეიარაღება, რითაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დღეს ამობენ.

ირაკლი ალაფაშვილი  
გიორგი შორაშვილიანი

წარუღწეა!  
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მეითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი“ და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.  
ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუითხვავად მასალების გადაბეჭვლა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის“ ძველი ნომრების შექნა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება ©  
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებძის ქ. №49.  
ტელ: 38-37-47


email: arsenal@kvisripalitra.com  
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

საქართველოს  
კარგადმცნობის  
მედიის ცენტრი

2008

# გენერლები F-22-ის წარმოების დაჩქარებას ითხოვენ

აშშ-მ უნდა დააჩქაროს გამანადგურებელ F-22-ის წარმოება F-15-ების დროულად შესაცვლელად. სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელი აზრით, ქვეყნის საბრძოლო პოტენციალის შესანარჩუნებლად აშშ-მ სულ ცოტა 381 F-22 უნდა შეიძინოს იმისათვის, რომ წინ აღუდგეს პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის გაძლიერებასა და რუსეთისა და ჩინეთში ახალი გამანადგურებლების გამოჩენას. გენერლების აზრით, ყოველწლიურად 32 ერთეული F-22-ის წარმოება (20-ის ნაცვლად) საშუალებას მისცემთ მომავალ ათწლეულში F-22-ის საჭირო რაოდენობა იყიდონ, რაც თითოეული თვითმფრინავის ღირებულებას 32 მლნ დოლარით შეამცირებს. ამჟამად




F-22-ის ღირებულება 300 მლნ-ს აჭარბებს.

# ისრაელი ფრენის სიმორის უზრდის დასაპროექტებელ გამანადგურებლებს



ისრაელს დაგეგმილი აქვს გაზარდოს გამანადგურებელ F-35-ის ფრენის სიმორე. F-35 ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში შემდეგ ათწლეულში შევა. F-35-ის მოქმედების საპროექტო რაოდენობა, რომელიც 1100 კოლომეტრს შეადგენს, ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების მოთხოვნებს არ შეესაბამება. ამ ნაკლის გამოსასწორებლად განზრახულია კიდელი საწვავის ავზების გამოყენება, რომლებიც სავანებოდ ამ ტიპის თვითმფრინავებისათვის მუშაობდა. კომპანია SYCLONE AVIATION სთავაზობს ტრადიციული დამატებითი ავზების გამოყენებას, რომლებიც თვითმფრინავს ფრთების ქვეშით ეკიდება. კომპანია IAI კი აშუშავებს კონფორმულ ავზებს, რომლებიც სტანდარტულებისგან განსხვავებით თვითმფრინავს ნაკლებმეჩქვნივლიაზს არ უკარგავს. მსუბუქი გამანადგურებელი F-35 LIGHTNING II მუშაობდა F-16-ის შესაცვლელად. ვარაუდობენ, რომ ახალი თვითმფრინავი აშშ-ისა და მისი მოკავშირეების სამხედრო-საჰაერო ძალების საფუძველი გახდება უახლოეს ათწლეულში. F-35-ების მიწოდება 2013-15 წლებში უნდა დაიწყოს.

# ჩინეთი სომალდსაწინააღმდეგო ბალისტიკურ რაკეტებს ამუშავებს



ამერიკელი და ტაივანელი სამხედრო ანალიტიკოსების ერთი ნაწილის მტკიცებით, 2009-2012 წლებში ჩინეთი დაიწყო ბალისტიკური რაკეტა DF-21-ების სომალდსაწინააღმდეგო ვარიანტის გაშლას. როგორც იუწყებიან, ახალი რაკეტის თავის ნაწილებს შეუძლია მოძრავი სამიზნის განადგურება. ამგვარი რაკეტების გამოყენება ჩინელებს საშუალებას მისცემს გაანადგურონ ავიამხიდეტი, მთუნდაც სახომალდო გაერთიანების მძლავრი პაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის თანამედროვე სახომალდო საშუალებებს არ შეუძლია ბალისტიკური რაკეტების, რომლებიც სამიზნეს ვერტიკალურად წამში რამდენიმე კოლომეტრის სიჩქარით ეცემა, განადგურება. ბალისტიკური რაკეტების, როგორც სომალდსაწინააღმდეგო, პირველი გამოცდები საბჭოთა კავშირში 70-იან წლებში გაიმართა, მაგრამ მარცხით დასრულდა. თანამედროვე ტექნოლოგიები ბალისტიკური რაკეტის ქობინის რადიარით ან დამიზნების ინფრაწითელი სისტემით აღჭურვის საშუალებას იძლევა, რაც უზრუნველყოფს მოძრავი სამიზნეების განადგურებას.



# აშშ-მა არაბებს 72 მილარდ-ის იარაღი მიჰყიდა

1981-დან 2006 წლამდე აშშ-მა ექვს არაბულ სახელმწიფოს – საუდის არაბეთს, ქუვეითს, ბაჰრეინს, კატარს, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და ომანს (სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოს წევრი-ქვეყნები) 72 მილარდ დოლარის ღირებულების იარაღი მიჰყიდა. ამერიკული იარაღის მქონე ქვეყნებში უმეტესად პირველ ადგილზეა საუდის არაბეთი, რომელმაც ამ წლებში 57 მილარდ დოლარის ღირებულების იარაღი იყიდა აშშ-ისგან. თითო სახლის განცხადებით, საუდის არაბეთს ასევე მაინოლებზე 900 ცალ თანამგზავრული დამზადების JDAM ზეუსუსტ პომბს, რომელიც 123 მილარდ დოლარი დაჯდება. ადრე ასეთი პომბები მხოლოდ ისრაელს, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და ომანს მიეწოდებოდა. 2007 წლის აგვისტოში ბუმის აღმინისტრაციამ კონგრესს აუწყა, რომ სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოს წევრ ქვეყნებს დამატებით მიეწოდება 11,5 მილარდ დოლარის ღირებულების ამერიკული იარაღი. როგორც აღმინისტრაციის წარმომადგენლებს განმარტეს, მიწოდების საერთო მოცულობამ ამ ქვეყნებში, შესაძლოა, 20 მილარდ დოლარი შეადგინოს.

# ინდოეთმა რუსული წყალქვეშა ნავი დაიწუნა



ინდოეთისა და რუსეთის სამხედრო თანამშრომლობა ახალი სკანდალით დაიწინაურდა. ახალი წლის პირველ დღეებში ცნობილი შეიქნა, რომ ოფიციალურმა დელიმ უარი თქვა გემომშენებელი ქარხანა „ხეილზონიკას“ მოდერნიზებულ დიზელურ წყალქვეშა ნავზე „სინდუვიკაი“ (პროექტი 8773KM, კლასი „ვარშავიანკა“). სუბმარინაზე ახალი ზომილსაწინამდებლო სარაკეტო კომპლექსის „კლას-ს“-ს დაყენებამ პრობლემას წარმოშვა. მეტიც, ინდოეთის სამხედრო-სახლავო ძალებმა უკან გაიწვია რუსეთში სუბმარინის ჩასაბარებლად ჩასული ზომილსის ეკიპაჟი. ასეთი დემონსტრაციული დემარში რუსული სამხედრო ტექნიკის უმსხვილეს შემკვეთს ვერ არ გაუკეთებია. თუმცა ეს ერთადერთი და პირველი ინციდენტი არ არის. რამდენიმე თვის წინ დელიმ უარი თქვა მოსკოვისგან სადაზვერუო კომპლექსიანი მოდერნიზებული წყალქვეშაწინამდებლო თვითმფრინავზე Ил-38 იმის გამო, რომ თვითმფრინავი არ შეესაბამებოდა ინდოეთის ვარის ტაქტიკურ-ტექნიკურ ამოცანას. გრძელდება კონფლიქტი „სეგამპრედარატივისთან“, – ქარხანამ დროუ-


ვად ვერ დაასრულა ინდური ავიამზიდის გარშემო“) გადაწყვიტა. ქარხანა სამუშაოების დასაბოლოებლად სულ ცოტა 1,5 მილარდ დოლარს ითხოვს, ინდოელი აღმირალები კი ერთი ცენტის გადახდას არ აპირებენ არ გაემსახურებოდნენ. უთანხმოება ასევე TALWAR-ის კლასის გემების თითბაზეც. საქმე ის არის, რომ რუს კონსტრუქტორებს გაუჭირდათ ინდური ელექტრონული სისტემების ინტეგრირება სამამული საიარაღო ელემენტებთან. იგივე მოხდა სუბმარინა „სინდუვიკაის“ შემთხვევაშიც. რაც მოავარია, პრობლემას ისიც არის, რომ ძალზე დედა რუსული თავდაცვითი საწარმოების არა მარტო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, ასევე მუშების კვალიფიკაციის დონეც ვარდა ამისა, დაკარგულია ბევრი უნიკალური ტექნოლოგია, რის გამოც რუსეთს აღარ შეუძლია მაღალხარისხიანი საბრძოლო ტექნიკის უზრუნველყოფის პროგრამის შესრულება.



# ნავსაწინამდებლო ავიაციის პრობლემები



აშშ-ის სამხედრო-სახლავო ძალებმა შეაჩერა 39 ნავსაწინამდებლო თვითმფრინავ P-3C ORION-ების ფრენა მათ კონსტრუქციამო ძალური ელემენტების გაუმართაობის აღმოჩენის შემდეგ. 39 თვითმფრინავი, რომელიც ამ ტიპის მანქანების პარკის დაახლოებით მეთოხედს შეადგენს, დეტალურად შემოწმდება და გარემონტდება. პენტაგონის წარმომადგენლების ცნობით, ექსპლუატაციამშენებელ ყველა „ორიონს“ აქვს დაზიანება, რაც ბზარების გაჩენის საფრთხეს უქმნის თვითმფრინავის ფრენის. ერთი თვითმფრინავის შემოსწმა და დაზიანების გამოსწორება 18-დან 24 თვეს მოითხოვს. თვითმფრინავების რაოდენობას, რომლებიც ერთდროულად მოწოდდება, არ ახმაურებენ. თვითმფრინავ P-3 ORION-ებს აშშ-ის სამხედრო-სახლავო ძალები იყენებენ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. „ორიონები“ NATO-სა და აშშ-ის რამდენიმე მოკავშირის ნავსაწინამდებლო და საპატრულო საბაზო ავიაციის საფუძველია.



# მოღარნიჭი ქართული T-72-ები კავკასიაში საუკეთესონი იქნებიან

თბილისის სატანკო ქარხანაში ქართულ T-72-ებს ისეთივე თანამედროვე ოპტიკურ და რადიოელექტრონულ აპარატურას უმონტაჟებენ, როგორებიც ებრაულ „მერკავეზს“ აქვთ

ქართული არმიის შეიარაღებამს გასული წლიდან მხოლოდ სხვადასხვა მოდიფიკაციის T-72 ტიპის ტანკებს რჩება. ოთხ ათეულამდე მოძველებულ T-55 ტიპის ტანკი დაკონსერვებულა მათ ნაწილს, ალბათ, უტრლიზაცია წაუტარება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ოთხივე ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონების შეიარაღებამი მხოლოდ T-72 რჩება, ისევე როგორც ცალკეულ ჯავშანსატანკო ბატალიონში. ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ მუხუთე ქვეითი ბრიგადაც მხოლოდ T-72-ებით დაკომპლექტდება.

ამ ეტაპზე ქართული არმიის შეიარაღებამი 160-ზე მეტი სხვადასხვა მოდიფიკაციის T-72-ია (კონკრეტულ ციფრს არ დაჯიკონრეტებთ, თუმცა ეს არ წარმოადგენს სამხედრო საიდუმლოებას).

პირველი T-72-ები საქართველოს ხელისუფლების ვანკარგულებამი 1993 წლის ოქტომბერში გამოხინდნენ, როდესაც ქუთაისში ჯერ კიდევ მდგარ რუსეთის ყოფილმა 31-ე საარმიო კორპუსის მეთაურებამ შევარდნაძის ხელისუფლებას ათიოდე T-72 გადასცა ზედდისტების წინააღმდეგ საბრძოლველად მანის ეს ტანკები შინავანმა ჯარამ და „მხედრიონმა“ გადაიბარა. მათგან ერთი სამტრედიაში აფეთქქეს ზვიადის ტბამ. ათი T-72-იდან დარჩენილი რეტანკი მუხრანში ჯერ იგორ გიორგაძის უშიშროების სამინისტროს ს



მძლავრ-მეკანიკოსი ამ ეკრანზე ღამით გზას 800 მ-ის სიშორეზე ხედავს



მძლავრ-მეკანიკოსის თბოვიზორი ხელსაწყო



ამ თბოვიზორი ხელსაწყოთი მეშინე მტრის ტანკს ღამით 8 კმ-ის სიშორეზე აღმოაჩენს

მის 130 ცალი სხვადასხვა მოდიფიკაციის T-72 იქნა შესყიდული.

რა დასაძლია და, ქართული T-72-ების ასაკი მათი ეკიპაჟების წევრების ასაკს უტოლდება თუ არ აჭარბებს კიდევ.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საჭირო იყო ქართული სატანკო პარკის გაახლება. ეს ორი გზით შეიძლება მომხდარიყო, – ან შეგვეძინა დასავლური წარმოების ახალი ტანკები, ან მოდერნიზება ჩაგვეტარებინა ჩვენი ტანკებისთვის.

ახალი გერმანული „ლეოპარდი“ 2 მლნ დოლარზე მეტი ღირს. უფრო ძვირია ფრანგული „ლეკლერკი“, რომ აღარაფერი ფიქვით ებრაული „მერკაფას“ ბოლო, მკითხვე მოდიფიკაციაზე, რომლის გასაყიდი ფასი 7 მლნ დოლარს აჭარბებს (საერთოდ, ებრაელებს „მერკაფები“ ჯერ არავისთვის მოუყიდათ).

აქედან გამომდინარე, უფრო ოპტიმალური გახლდათ არსებული T-72-ების

ეცდანიშნულების ბრიგადას ჰყავდა, შეძლებ ეს ნაწილი შინაგან ჯარებს გადაეცა, 2004 წელს კი ამ ტანკების პატრონი თავდაცვის სამინისტრო გახდა.

გარდიცო ნაღობების თავდაცვის მინისტრობის დროს ახალქალაქის მოტომსროლელი დევიზიდან რუსეთმა 31 ცალი T-72 გადმოგვცა. ამ ტანკების ახალქალაქიდან გამოყვანის დროს ადგილობრივი სომეხი ეროვნების წარმომადგენლებმა კინაღამ ყუმბარსატყორცნები დაუშინეს ტანკების ქართულ ეკიპაჟებს, – ეს ჩვენი ტანკებია და რატომ მიეკუთვნო(?)!

ვარდების რევოლუციის დროს ქართული არმიის შეიარაღებაში 39 ცალი T-72 თუ იყო, დღეს კი მათი რიცხვი 160-ზე მეტია, გამოდის, ამ შუალედში თითქ

ბრძოლის მართვის სისტემის ბორტკომპიუტერი



მოდერნიზაციის დაწყება.

საბედნიეროდ, ამის შესაძლებლობა გვაქვს, რადგან თბილისში აგრძელებს ფუნქციონირებას ტანკსარემონტო ქარხანა.

ქართული T-72-ების მოდერნიზაცია, ძირითადად, ხუთი მიმართულებით მიმდინარეობს, რომლის შემდეგაც ჩვენი ტანკები საბრძოლო შესაძლებლობებით ნამდვილად გაასწრებენ რუსულ T-72-ებს და დაუახლოვდებიან თანამედროვე დასავლურ ტანკებს, – ამერიკულ „აბრამსებს“, გერმანულ „ლეოპარდებს“ და ებრაულ „მერკავეს“.

მოდერნიზაცია შეეხება T-72-ის ცეხლის მართვის სისტემას. მასში მონტაჟდება შესწორების შეტანის ავტომატური ბლოკი, რომელიც განსაზღვრავს ქარის მიმართულებას, სიჩქარეს, პერის ტემპერატურას. ასევე იზიოება ჭურვისა და მუხვის ტემპერატურაც. ყველა ეს მონაცემი ავტომატურ რეჟიმში უსწრაფესად მუშავდება და კეთდება ზუსტი გასროლა.

ტანკში მონტაჟდება დამინებისა და დათვალიერების ელექტროოპტიკური ხელსაწყოები, როგორც ტანკის მემ-იზინისთვის, ისე მძლავრ-მექანიკისთვის.

ახალი თბოვიზორი სამიზნე მონტაჟდება მემიზინის საბრძოლო ნაკვეთურში. მისი საშუალებით მემიზნე მოწინააღმდეგვის ტანკს ღამით 8 კმ-ის სიშორეზე, ხოლო ცუდი ხილვადობის პირობებში კი 5 კმ-ის სიშორეზე აღმოაჩენს.



მძლავრ-მექანიკის ტრიპლექსი იხსნება და მის მაგივრად მონტაჟდება თბოვიზორი ხელსაწყო. მძლავრ-მექანიკის პატარა თხევადკრისტალიან ეკრანზე უყურებს გზას, ღამით არანაკლებ 800 მ-ის დისტანციაზე. დღისით, როდესაც თბოვიზორი ხელსაწყო საჭირო არ არის, ის რამდენიმე წუთში იხსნება და ტრიპლექსი თავის ადგილზე დაყენდება.

ტანკში დამონტაჟდა გლობალური საწვავით სისტემა GPS, რომლის შემდეგაც ეკიპაჟს რამდენიმე წამში შეუძლია ვაიგოს ტანკის უზუსტესი ად-

გილმდებარეობა, საით უმიზნებს ქვეყნის ლულა და საით არის მრდილოელი.

ყველაზე დიდი ცვლილება ბრძოლის მართვის სისტემას შეეხო. მასში დამონტაჟდა ახალი, მძლავრი ბორტკომპიუტერი, რომელშიც დიდი მოცულობის ინფორმაციაა ჩატვირთული. ახალი ბრძოლის მართვის სისტემის საშუალებით ტანკების ეკიპაჟებს შეუძლიათ ოპერაციის დაგეგმვა და ერთმანეთში, ისევე როგორც მართვის პუნქტთან, ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში გაცვლა.

ძველი საბჭოთა რადიოსადგურების ნაცვლად, ტანკში ჩააყენეს თანამედროვე დასავლური წარმოების ციფრული რადიოსადგური, რომელიც 18 კმ-ის რადიუსში ამყარებს დახურულ რადიოკავშირის სიხშირეების მუდმივი ცვლილებით. ბრძოლის მართვის სისტემასა და ციფრული რადიოსადგურის მეშვეობით მოქმედებს ულტრაბანამედროვე ამოცნობის სისტემა „ჩემი – სხვისი“. თუკი ქართული ტანკის ეკიპაჟმა შეცდომით სამიზნეში თანამომხე ამოიღო, ეკიპაჟის ყურსასმენებში გაისმის აუტანდელ წივილი, რითაც ეკიპაჟს სახიფათო შეცდომას აცხობინებს.

თუკი ყველა ქართულ ტანკს ჩაუტარდა საფუძვლიანი მოდერნიზაცია, მაშინ საქართველოს შეარაღებული ძალების სატანკო პარკი მთელი თავით მაღლა დადგება სომხეთისა და აზერბაიჯანის ჯავშანსატანკო ძალებზე, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიაში განთავსებულ რუსულ T-72-ებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ სეპარატისტების მოძევლებულ ტანკებზე.

ირაკლი ალადაშვილი







# ახალი სამხედრო ბაზა გორში



ზა. ის 4000-მდე სამხედრო მოსამსახურეზე გათვლილი და 70-ზე მეტ ჰექტარს მოიცავს.

ოფიციალურად ბაზა 18 იანვარს გორში საზეიმოდ გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი და შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ზაზა გოგავა დაესწრნენ.

საქართველოს სახელმწიფო პიმნის მოსმენის და დროშის აღმართვის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა სამხედროებს სიტყვით მიმართა. მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში განხორციელებულ რეფორმებზე, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ახალ შეიარაღებაზე ისაუბრა. დღევანდელი უმაღლესმა მთავარსარდალმა სამხედრო მოსამსახურეებს ახალი ავტომატური იარაღი M4 პირადად გადასცა და აღნიშნა, რომ მალე ქართულ შეიარაღებულ ძალებში სამხედრო ტექნიკის და საფრენი აპარატების სრული მოდერნიზაცია მოხდება.

როგორც ცნობილია, M4 ამერიკული იარაღია და ის საქართველოში რუსული წარმოების კალაშნიკოვის ტიპის იარაღს ჩაენაცვლება.

თვდაპირველად ამ ავტომატით საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეციალური ოპერაციების დაჯგუფება აღიჭურვა.

როგორც შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ზაზა გოგავამ აღნიშნა: „საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ტექნიკური აღჭურვილობის მოდერნიზაციის პროცესი დაიწყო. საბჭოური იარაღი ეტაპობრივად NATO-ს სტანდარტის შესაბამისი აღჭურვილობით შეცვლება. ამის მაგალითია ცეცხლსასროლი ავტომატური შაშხანა M4. ეს ცვლილება აუცილებლად გააუმჯობესებს ტექნიკური მონაცემების ამპლუბას საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. ეს იარაღი ერთერთი უთანამედროვესაა მსოფლიოში და ის წამყვანი ტექნიკის შეიარაღებული ძალების შეიარაღებაშია.“

გორის სამხედრო ბაზაზე I კვეთით ბრიგადის ის ნაწილი განთავსდა, რომელიც ამჟამად საქართველოში იმყოფება. ბრიგადის 2000 სამხედრო მოსამსახურე კი ცოტა ხნის წინ ერავის ისლამურ რესპუბლიკაში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად გაემგზავრა. მანამდე I ბრიგადა ვაზიანში იყო დისლოცირებული.

გორის სამხედრო ქალაქი ქართულმა კომანდა „DTS“-მა ააშენა.

**რუსულად ციხაპურიძე თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის საზოგადოებრივ სააგენტო დეპარტამენტის საზოგადოებასთან და მასმედიატან ურთიერთობის სამართმეველო უფროსი.**

გორში ახალი სამხედრო ბაზა გაიხსნა. სამხედრო ქალაქი ცენტრალურ მაგისტრალიან ახლოს მდებარეობს. ბაზის მშენებლობა 2006 წლის ზაფხულში დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ბაზის ტერიტორიაზე ყაზარბები, შტაბის შერობა, 5000 კაცზე გათვლილი სასადილო და სპორტული მოედნები, საბილიარდო, ღაზართი და საწყობები აშენდა. სამშენებლო სამუშაოები სრულდება საცურაო აუზსა და ოფიცრების საცხოვრებელ კორპუსებშიც. ევროსტანდარტების შესაბამისი სამხედრო ქალაქი, პოსტ-საბჭოთა სივრცეში ყველაზე თანამედროვე ბა-





# რუსეთს დღესაც რჩება დიდი კომუნობით ქიმიური იარაღი

რუსეთის ფედერაციას აქვს ქიმიური იარაღის უზარმაზარი მარაგი მთელ მსოფლიოში. ამ ფაქტს ყოველთვის ასაიღუმლოება კრემლი. ადამიანებს ასწავლიდნენ აირწინაღისა და ქიმიური დაზვერვის ხელსაწყოების მოხმარებას, იპრიტისა და ციანბაგვას განსხვავებას სუნით, ხოლო მოსახლეობას მუდმივად ჩასწინებდნენ, რომ ქიმიური იარაღი პქინდათ მხოლოდ იმპერიალისტებს. მხოლოდ 1987 წელს აღიარა გორბაჩოვმა ქიმიური იარაღის შეიარაღებაში არსებობის ფაქტი. მოგვიანებით კი რუსეთი შეუერთდა ექვსეის კონვენციის მოთხოვნას ქიმიური იარაღის განაარაღების თაობაზე. რუსეთის ღუმამ კი მიიღო კანონი „ქიმიური იარაღის განადგურებაზე“. მაგრამ არაფერი თქმულა მისი დამზადება-წარმოების, დაგროვების, შენახვისა და გამოყენების აკრძალვაზე.

რუსეთი ქიმიური შეიარაღების შეჯობრებაში ჩაერთო 1915 წელს. საკუთარი წარმოება არ პქინდა – მოკავშირეები აძარაგებდნენ. საბრძოლო მასალების უდიდესი ნაწილი ინახებოდა საწვობებში 30-იანი წლების ნახევრამდე – არანაკლებ 420 ათასი ქიმიური ჭურვი. ბოლშევიკების ამისთვის კარგა ხანს არ ეკვალათ და ეს ამბავი მიჩუმდებოდათ იყო. შემდეგ გაახსენდათ და არ დააყ-

ოვნეს მისი საქმეში გამოყენება. 1919 წელს ზემო დონთან ანტიბოლშევიკურმა კახაკურმა ამბოხებამ იფეთქა და 1919 წლის 17 მარტს წითლების დამსჯელი ნაწილები იღებენ ბრძანებას: „მიიღეთ ცველაზე ენერგიული ზომები აჯანყებულთა გასანადგურებლად. ქიმიური ჭურვები უკვე გამოვიგზავნეთ. კნიაგინცკი, ბარიშნიკოვი“. 18 მარტს ზამბურსკის პოლკის ფოსკუნის ჭურვები უკვე კახაკთა რიგებში ფეთქებოდა. 1921 წელს წითელმა არმიამ პირველმა გადაწყვიტა მსოფლიოში ქიმიური ჯარების ორგანიზება. უნდა შეექმნათ საკუთარი წარმოება, დასაწყისში დავმანია დაეხმარათ, ეს უკანასკნელი ცდილობდა ვერსალის ხელშეკრულების გვერდის ავლით საბჭოთა ტერიტორიაზე შეექმნათ მშ-ის (მოშწამლავი ნივთიერება) წარმოებისა და მისი გამოყენების ტექტიკა. გერმანია დაეხმარა პოლიტონებისა და სამხედრო ქიმიური სასწავლო დაწესებულებების შექმნაში, მაგრამ ტექნოლოგიის შექმნამ თვითონ მოუწიათ. 1924 წლის 30 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე მოსკოვის ექსპერიმენტულ ქარხანა „ანილტრესტში“ დამზადდა იპრიტის პირველი სამრეწველო პარტია – 18

ფუთი. ოქტომბერში იმავე იპრიტით აღიჭურვა პირველი ათასი „წითელი“ ქიმიური ჭურვი. მშ-ის წარმოება ინტენსურად დაიწყო მოსკოვში, შემდეგ ქალაქ ჩაპაევსკში, მაგრამ საქმე ვერ მიდიოდა კარგად, მუშახლი მწყობრიდან გამოვიდა – უსაფრთხოების ტექტიკის მოთხოვნებს არ სრულდებოდა. გახშირდა უბედური შემთხვევები. წითელი არმიის ქიმიური სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ მელნიკოვის 1939 წლის 5 ოქტომბრის მოხსენებებში ნათქვამია: „სასწავლო ველს იპრიტის ორთქლით აკვლების მსმენელი“



მაიორ ვლადიმირ პეტრენკოვი საბრძოლო-ტოქსიკური 85 გამოსცადეს



ფრინდან 3 წუთის შემდეგ გემის ეკიპის მიჰყავს ისინი დასნებოვნებულ ადგილებზე. დანაშაულებრივი ცდა დამთავრდა იმით, რომ 8 კაცი პოსპიტალში აღმოჩნდა.

შხანიას ცენტრალურ სამხედრო-ქიმიურ პოლიგონზე უნდა გადაეწყვიტათ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა, — ექსპერიმენტულად დაეგნებინათ, შეაღწევს თუ არა მწ ტანკში დასნებოვნებულ მინავეთზე გადაადგილებისას. ტანკებს აგზავნიდნენ იპრიტით დასნებოვნებულ ადგილებს და უშუკებდნენ მწ-ის კვალის ტვალას პერიდან. დასკვნა: „შეიძლება ჩაითვალოს დადგენილად, რომ ტანკის ეკიპაჟი დაზიანდება იპრიტის ორთქლით“.

რუსული საინფორმაციო წყარო გამოთქვამს აზრს, რომ ასეთი პრაქტიკა 90-იან წლებამდე გაგრძელდა. უაღრესად საინტერესო ცნობას გვაწვდის საბჭოთა არმიის ყოფილი მაიორი ვლადიმერ პეტრენკო, რომელზეც საბრძოლო ტოქსიკური მომწამლებელი ნივთიერება გამოცადეს 1982 წელს. „სპეციალური ქსოვილით შემთხვევს თავი, გარდა ცხვირისა, საზე გამჭვირვალე საკანში შეყვავი და სპეციალური აპარატით გაუშვეს მწ. შეგრძნება ისეთი იყო, თითქმის დამარტყეს და ფილტვებიდან პაივი ამომცალეს. ამწვევა ცხვირი, თვალებიდან ცრემლი

ღვარად მომდიოდა; ამით სუნთქვა გაგრძელდა ერთ წუთს, სანამ არ გასცეს შეწყვეტის პრძინება“. შემდეგ ექიმები, ანალოზები, კარდიოგრაფები, ასვე სროლა ტრინში — რეაქციის შემოწმება. იმ წელს დაახლოებით 40-მდე ასეთი ცდა ჩატარდა. აღამიანებზე ცდების პროგრამას ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ანატოლ კუნცეკვიჩი, რომელიც მოვლენებით გენერალზე გახდა, მერნაცა აკადემიკოსის სამეცნიერო წოდება და მიიღო ქიმიური ვარჯიშის სარდლის მოადგილის თანამდებობაც.

რა თქმა უნდა, მაიორი პეტრენკო ერთადერთი არ ყოფილა, გაკვირვებას მხოლოდ ის იწვევს, როგორ ვადაიტანეს ადამიანებმა ასეთი დანაშაულებრივი განუცხოხობა. ქიმიურ იარაღის გამოყენებზე პოლშევიკებს ჰქონდათ დევიზი: „დაარტი შეზინანებს, რომ ეშინოდეთ სხვებს“ და მათი საცქეები სრულად პასუხიოდა მას.

1965 წელი — მომწამლებელი ნივთიერების წარმოების ნარჩენების კატასტროფული ჩანინება მდინარე ვოლგაში ქალაქ ვოლგოგრადის ქიმიური ქარხნიდან; მთელი ვოლგა ვოლგოგრადიდან ასტრახანამდე ზედაპირზე მოტივტივე დახოცილი თევზებით გაივსო. ცნობები დაზიანებუ-

**ჩაბაევსკის ქიმიკატების ქიხანა: 60 წლის წინ აქ მზადდებოდა არც ისე უწყინარი ნივთიერებები — იპრიტი, ლუზიტი...**



ბი მასობრივად მოიწამლენ“, თავდაცვის მინისტრის მოსხვედრაში კი აღნიშნულა: „მწ მსმხელი, პედაგოგი და მომსახურეთა შეგადგენლობა იპრიტის ორთქლით მოიწამლენ. ეს პირველი შემთხვევა არაა და მეტიარებისა და უფროსების დანაშაულებრივი გულგრილობისა და გაუნათლებლობის შედეგია“.

იყო შემთხვევა, როცა პიონრთა ბანაკის ბავშვებიც მოიწამლენ იმის გამო, რომ ახლოს მდებარე კლდეები ინსტიტუტში არ ჰქონდათ მწ-ის არც ფილტვები და არც დამჭერი საშუალებები.

უაღრესად საინტერესოა რუსული დევიზის მეტიარე სტანდარტის მოსხვედრა თავდაცვის კომისარ ვიროშნიკოვისადმი. აი, რას წერს იგი: „სრულიად საიდუმლოდ. 1930 წლიდან 1935 წლამდე ჩატარებულია დაახლოებით 6000 ცდა სხვადასხვა მოქმედების მწ-ის მიმართული ღოზებით ადამიანის კანზე. ჩატარდა ასევე ცდები ადამიანებზე გამიიზიანებული მწ-ის მიმართული და ზეზღვრული ღოზებით. მთელი რივი ახალწარმოადგენილი კანისა და გამიიზიანებული მოქმედების რეკტებულებების გამოცდის სასწრაფო არეცეულობის მიზნით, ვთხოვეთ ნებართვა, რათა განვაახლოთ ადამიანებზე ცდები“. ცდისპირად, ბუნებრივია, ჰყვადით წითელარმიელები და პატირები, რომლებზეც მწ გამოცადეს მოსკოვში. ყველა საცდელი იბეჭეტი პატიმარი დაღუპა.

ექსპერიმენტები საბრძოლო-ტოქსიკური მწ-ის გამოყენებით ტარდებოდა მთელ რივ სამხედრო ნაწილებში. გაკვირვებას იწვევს ის შშრალი სტრატეგები, რომლებიც ვივებთ, როგორ ვადიან წითელარმიელები აირწინაღობა და ქაღალდის მოსასხამით აღჭურვილიან ნანძვილი იპრიტით დასნებოვნებულ ადგილს ქალაქ იჩაკოვის მახლობლად მხოლოდ იმის დასადგენად, რომ ქაღალდის მოსასხამი ვერ გამოადგება დენსანტს დაცვის საშუალება.

1934 წლის აგვისტო რუსეთის ისტორიაში მდიდარია სამხედრო ქიმიური ექსპერიმენტებით: ნაღმოსან „კარლ მარქსი“ თვითმფრინავიდან დაასხურეს იპრიტი. მიზანი: დადგინდეს ადამიანის კანის საფარველზე მდგრადი მინის მოქმედება. გემის ეკიპაჟიდან გამოყვეს 4 მებრძოლი, რომელთაც ჰქონდათ კარგი ვანძროთლობა და ვანსაღი კანი. საბრძოლო ვანგაშის სივნალზე მათ უნდა სემოდათ იპრიტის საწინააღმდეგო კოსტუმი, რომელშიც გაკეთებული იყო 8X8 სმ-ის ნახვრეტი. თვითმფრინავის ვადა-

ლი ადამიანების რიცხობრივ რაოდენობაზე, რაც აუცილებლად იქნებოდა, გასაიდუმლოებულია დღემდე;

1974 წლის 28 აპრილი - ძლიერი ხანძარი ნიუიორკკასკის მომწამლებელი ნიუიორკების ქარხანაში, ცეცხლისგან თანმიმდევრებით ფეთქებოდა ნერვულ-პარალიტიკური VX გაზით სავსე საეი-აციო ბომბები და ჭურვები. მნ-ის კოლოსალური გაფრთვა, დახვდილია რიცხვი გასაიდუმლოებულია;

1978 წელი - ისევ ნიუიორკკასკის ქიმიური ქარხანა, ჰაერში VX-ის გაფრთვა;

1980 წელი - მოსკოვი, დიდი ხანძარი ენოუხისტების გზატკეცილზე მებრუნე მომწამლებელი ნიუიორკების ინსტიტუტში, ატმოსფეროში გაიტყორცნა VX გაზი.

წითელმა არმიამ 1929 წელს იპირიტი ავღანიშიც გამოიყენა. საბჭოთა არმია ხალხის-გოლითანაც მზად იყო გამოეყენებინა ქიმიური იარაღი.

1939 წლის დეკემბერსა და 1940 წლის იანვარში, როცა ჯარმა შეკონება დაიწყო „მანერჰაიმის ხაზთან“, ვადაწყვედა,

ვარდევითის გამოეყენებინათ საბრძოლო მნ, მაგრამ ტემპერატურა - 40 გრადუს ცელსუსამდე დაეცა, ხოლო იპირიტაც და ლუიზიტაც ასეთ ტემპერატურაზე კარგავენ საბრძოლო ქიმიურ თვისებებს.

50-იან წლებში საბჭოთა სამხედრო სპეციალისტები ასწავლიდნენ ვეტანამულებს იპირიტის გამოყენებას და მათაც მოსწავლეს ფრანგ ჯარისკაცებზე. მახლ-ვარგარიული სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ საბჭოთა ჯარებმა ქიმიური იარაღი გამოიყენეს ავღანეთში, მნ გამოიყენეს 80-იანი წლების დასაწყისში ეთიოპიასა და ანგოლაში კუბის თუ საბჭოთა ჯარებმა (ზუსტ ინფორმაციას, თუ რომელმა გამოიყენა, წყარო არ იტყობინება). ტაბელური საჯარისო ქიმიური იარაღი CS და ქლორაცეტოფენონი (CN) გამოიყენეს თბილისშიც 1989 წლის 9 აპრილს, რასაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვა. დანივალდა უამრავი მშვიდობიანი მოქალაქე.

ვარაუდობენ, რომ რუსეთმა ჩქნეთის ომშიც გამოიყენა ქიმიური იარაღი, თუმც კრემლი კატეგორიულად უარყოფს ამას

და არც გამოძიებაზე თანახმაა რუსეთის ფაქტზე ვერსად გაეცეკვან, რომ ჩქნეთი მართლაც იყვნენ რუსული ქიმიური ნაწილები.

უნდა გაეხსენოთ „ნორდ-ოსტის ტრაგედიაც, სადაც რუსებმა გამოიყენეს ნამდვილი საბრძოლო ტოქსიკური მონწამლებელი ნიუიორკება, რასაც დიდი მსკერპლი მოჰყვა.

რუსმა სპეცდანიშნულების დანაყოფებრძობლებმა დახვრიტეს 52 მძინარტეროსტი, მაშინ როდესაც თავისუფლად შეძლიათ მათი აყვანა. ასე რომ კრემლის ნაცადი დევიზი: „დაარტი შენიატებს, რომ უშინოდეთ სხვებს“, კვლადალაშა. პუტინის თქმით, მათ გამოიყენეს „უწყინარი“ გაზი, მაგრამ როგორ დახვრიტა „უწყინარი“ გაზმა ხალხი და რომელად სახელდობრ ეს გაზი, ამხვე არაფერი ამბობს.

ვიცე-პოლკოვნიკი  
ელგუჯა ურუშაძე  
პორის სანიტორნი  
კატალიონის  
ძიმიონ-ინსტრუქტორი

# საუკეთესო სარეზერვი

დაბადების დღისა და სხვა დღესასწაულებისთვის!!!


«მსოფლიო სპორტის» ბიზნოთაისი | ზოში

## ურუგვაიდან გერმანიამდე

პირველად - ენრეკლოპედიური ხასიათის

პირველად - მსოფლიოს თვრამეტივე ჩემპიონატი ერთად

პირველად - დიდი თორმეტის, 500 გვერდანი, მთლიანად ფერადი, ლამინირებული მავარ გარეკანში



ურუგვაიდან გერმანიამდე

საქონლო სპორტი

### წიგნი, რომელიც სჭირდება ყოვას

1930-2006 წლების მსოფლიოს თვრამეტივე ჩემპიონატის ისტორია, მასინძელი ქვეყნების მოკლე კონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, შესარჩევი და ფინალური ეტაპების დაწარმებითი სტატისტიკური მონაცემები, კონალისტიკური მიმოხილვები და საინტერესო ფაქტები.

გამოყენებულია 1000-ზე მეტი ფერადი ფოტო და ცალკე თავი ეძღვნება ქართველი ფეხბურთელების მონაწილეობას მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე.

თბილისში შპსი „ილია“ შუამკვეთით სახელში მისტანით,

ტელ: 38-26-73; 42-43-40. (ელვა-სერვისი)

ასევე მოიპოიებთ წიგნის მაღაზიეში

# ერთი ფოტოს ისტორია

დახვრეხა  
 ხაიგონში



ფეარდ ადამში, რომელსაც ედი ადამსს უწოდებდნენ, 1933 წლის 12 ივნისს დაიბადა, ნიუ-კეინგტონში (პენსილვანია). ფოტოკორესპონდენტობა ვერ კიდევ მოსწავლეობისას დაიწყო. თავდაპირველად, საქონილო თუფტებს იღებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ადგილობრივ გაზეთ „დეილი დისპეის“ რედაქციაში. კორეის ომის დროს ედი ადამი აშშ-ის საზღვაო ქვეითთა ქვედანაყოფს მინერალი ფოტოგრაფი იყო. 1965-1966 და 1967-1968 წლებში ფრანტზე ასოშიეიტედ პრემის კორესპონდენტად იმყოფებოდა. ვიეტნამის ომის დროს აშშ-ის საზღვაო ქვეითთა ჯარების მთავარსარდლის, გენერალ ლუის უოლტის მგლობარი იყო და არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში, რომლის დროსაც რეპორტაჟებს აკეთებდა.

ქვეყნის პოლიციის უფროსად უცხოელ კურნალისტთა შორის ნეუენ ნეოკ ლონამ სახელი გაითქვა თავისი ტემპერამენტით, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ვიეტნამში სახალხო ფრინტის ტერორისტებს ებრძოდა.

### რიგორი მოხდა ეს

საიონი. 1968 წლის 1-ელი თებერვალი. ქალაქში ქაოსია. მოქალაქეებს არ სჯერათ, რომ ქალაქში პარტიზანები და ჩრდილოეთვიეტნამელთა საჯარისო ნაწილები ბატონობენ. არავის სჯერა, რომ კომუ-

ნისტებმა გაბედეს ახალი წლის წმინდა დღესასწაულის უგულბელყოფა და თავს დაესხნენ ქალაქს. ხმაურანი და მხარბული თავყრილობებისა და ფეიერვერკების ნაცვლად ბრძოლები მიმდინარეობს. იწვის შენობები, ქუჩები გვაბუბითაა მოფენილი. ამერიკელი ჯარისკაცები სამხრეთვიეტნამელ მებრძოლებთან ერთად ცდილობენ საპასუხო დარტყმა მოაყენონ მომხდურებს და ვაუნებში ვანდევნონ.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ფოტოკორესპონდენტი ედი ადამსი და NBC-ის ოპერატორი ვო სუ ქალაქ ხულანის ჩინური უბნისკენ მიემართებიან. იქ ბუფისტური ტაძრის მასობობლად, უკვე რამდენიმე სათითა მიმდინარეობს გააფორებული ბრძოლები. ტაძარი უკვე სამხრეთვიეტნამელთა ხელში იყო. შესასვლელში ბრიგადის ვენერალი ნეუენ ნეოკ ლონაი დაინახეს. პოლიციის შუფი ხე-ქვეითების მოხსენებებს ისმენდა. ერთობა ოფიცერმა მოახსენა, რომ დაპატიმრებს ჩრდილო ვიეტნამის სახალხო ფრინტის არმიის აქტივისტი. მამინ დაიჭირეს, როცა იმ თხრილიან დედა, რომელშიც ხელმეურელი პოლიციელები და მათი თვჯანის წერები ვყარენ დახვრეტილები (ხიჯეთი მონაცებით, მათ შორის იყო ვენერლის თანამეურეტი).



ნეუენ ნეოკ ლონაი – სამხრეთვიეტნამელი ბრიგადის ვენერალი, სამხრეთ ვიეტნამის პოლიციის უფროსი. დაიბადა 1930 წლის 11 დეკემბერს, ინჟინერ ეხიუს შექლებულ ოჯახში (მის მშობლებს თირიშეტი შვილი ჰყავდათ). უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახური დაიწყო და სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო-საჰაერო ძალების მებრძოლი პილოტი გახდა. აქ დაუშეგობრდა სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალ ნეუენ კოკუს, რომელიც 1965 წელს სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრი გახდა და მამინეუ დანიშნა თავისი მგლობარი

ურნალისტების ოჯახში ტყვე ორმა ვიეტნამელმა საზღვაო ქვეითმა ვენერალ-



თან მიიყვანა, ხელმეორეული პარტიზანი გენერლის წინ თავსაღუნული იდგა. ნუგუზ ნიკო ლიანას ხელქვეითებს აჩინა, ტყვეს მოშორებოდნენ და მისკენ ნაბიჯი გადადგა. უსიტყვოდ იმომულა რევილერი და პარტიზანს დაუმინა. ადამსი და თუ სუ გადასაღებად მოუშინდნენ. ევრონი, გენერალი იარაღის მუკრით დაკითხვას აპირებდა, მაგრამ ნაცვლად ამისა, გაისმა სროლა. ლიანას პარტიზანი დახვრტვდა, შემდეგ მობრუნდა და ჟურნალისტების გასალონად იქცა: „მათ ბევრი ჩვენი ხალხი და სხვათა შორის, თქვენც დაბოცეს“ (მეორე ვერსიის: „მათ ბევრი ჩვენიანი დაბოცეს, ვეჭვობ, ბუდა მასატოეს“).

### დასჯა თუ მკვლელობა

დაეუშუათ, არ ვიცი, რომ გენერალმა დახვრტვა პარტიზანი, რომელმაც ეს-უსა მშვიდობიანი მოქალაქეები დახოცა და ამ ინფორმაციის გარეშე მოგვიწია ადამის ფოტოს ხილვამ. ეჭვიც არ შეგეპარებოდა მაღალი რანგის ოფიცრის სისასტიკეში. გამოდის, გენერალმა სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი კი არ აღასრულა, არამედ მკვლელობა ჩაიდინა. ფრევეს კონვენციის თანახმად, გამოძიება და სასამართლო განაჩენის გარეშე ადამიანის დასჯა აკრძალულია, მაგრამ ვინც ომშია ნამყოფი, კარგად იცის, რომ კაბინეტებში დაწერილი კანონები ბრძოლის ველზე გამოწაკის შემთხვევაში მოქმედებენ. დიან, ნუგუზ ნიკო ლიანი თანვე ვერ მოვირა, მაგრამ განა მართლად მკვლელია? ეს თითოეულმა ჩვენგანმა თავად უნდა გადაწყვიტოს. მხოლოდ იმის ვიტყვი, რომ იმ დროისთვის ჩვენი პლანეტის მცხოვრებთა უმრავლესობამ გენერლის საქციელი დამტო, რადგან მისი მტრეზი არ იცოდნენ. ადამიანები ხედავდნენ მხოლოდ ფოტოს და მის ქვემოთ წარწერას, — „დახვრტვა საიონი“.

იმვე დღეს ფოტო მსოფლიოს ყველა საინფორმაციო სააგენტოში მიიღო. აღმსოფინების ტელეამ გადაუარა მსოფლიოს, ომის მოწინააღმდეგეებმა მანიფესტაციებზე ეს ფოტო ერთ-ერთ კონზრად გამოიყენეს. შეერთებულ შტატებში მკაცრად გააკრტიკეს გამხრტების პოლიტიკა. ქვეყნის ხელისუფლებას ბრალი დასდეს, რომ არ სურდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში წესრიგის დამყარება. სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებას თავის მართლებამ მოუწია. პრემიერ-მინისტრის განაცხადმა, დახვრტილი ვიეტკონგის მაღალი რანგის აუტორიტი იყო, რომელმაც საგანგებო სამსახურები დიდხანს ნადირობდნენ. ამ განცხადებებს სასურველი შედეგი არ მოჰყვია.

### შემდეგ...

ამ ფოტოს პერსონალების ბუდი სხვადასხვაგვარად წარიმარა. დახვრტილი პარტიზანის პირიუენბა ვერ დადვინეს. არსებობს ორი ვერსია. ერთ შემთხვევაში ლაპარაკია ოფიცრზე, მეორეში კი სამხრეთ ვიეტნამის გათავისუფლების სახალხო ფრენტის აქტივისტზე. ეს ორი ადამიანი გარეგნულად ძალიან ჰგავდა ერთმანეთს და ორივე უგზო-უკმლოდ დაიკარგა ტეტის ბრძოლების დროს.

1968 წლის მასში, საიონზე მეორე შეტყვის დროს, გენერალი ნუგუზ ნიკო ლიანი პირადად ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ ბრძოლას და ფეხში დაიჭრა. სამკურნალოდ ავსტრალიაში გაუზახენ, მაგრამ ამაღ საზოგადოების ისეთი ადმოხიობა გამოიწვია, რომ პენტაგონი იძულებული შეეწია, იე აშშ-ის სამხედრო პოსიტალეში გადაეყვანათ. ჭრილობა მძიმე აღმოჩნდა, ლიანს მარჯვენა ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს და თადარიგში გაუშვეს.

მათი აზრით, ვინც გენერალ ლიანს ახლოს იცნობდა, მან პარტიზანი ყველას დასანახავად იმიტომ დახვრტვა, რომ უცხოელი ჟურნალისტების ხედვის არეალში მოხვედრილიყო. თადარიგში გასვლის შემდეგ გენერალი ჰუმანური საქონი იყო დაკავებული, — უპატრონი ბავშვების თავმჯდომარის ბინარდის ამერიკიდან გამოუზავილ საწყურებს ურეგებდა. 1975 წელს, საიონის დაცემის წინ, მან ამერიკელებს სთხოვა, ქვეყნიდან გაქცევაში დახმარებოდნენ, მაგრამ უარი მიიღო. მოგვიანებით გაქცევა მანც მოახერხა და საბოლოოდ აშშ-ში გადაბარდა ოჯახთან ერთად.

ამერიკაში ლიანი ვირჯინიის შტატში დასახლდა, სადაც ჰიკერია გახსნა. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მუშობლებს შტატებში ვინ იყო და რაი გაითქვა სახელი, ქვეყნიდან მისი დაიკრტიცა მოითხოვეს. მართალია, ეს არ მოხდარა, მაგრამ ყოფილი გენერალი გაკოტრდა, — მისი პიკეინის კვლევაზე მიწერეს: „ჩვენ ვიცით, ვინ ხარ!“

გენერალი 1998 წელს გარდაიცვალა, ბუდის ანაბარა დატოვა ქვრივი ჩინ მამი და ხუთი ბავშვი.

### ნახევარსიმარტო

ელი ადამისათვის „დახვრტვა საიონში“ ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ ნამუშევრად იქცა. ეს ფოტო მთელი მსოფლიოს მრავალი გაზთვის პირველ გვერდებზე დაბეჭდა და როგორც ამბობენ, დიდი როლი შეასრულა ვიეტნამის ომზე

ამერიკელი საზოგადოების სწრაფად აღმოჩენილ მხარდობებში. თავად ადამსი, რომელმაც ჩურჩალისტებს საიონში განუცხადა: „მე მოვიხელეთ მის რისთვისაც მამოვედი“, მოგვიანებით სიწინამულმა მოიცვა და პულიცერის პრემიაზეც მოცა უარი: „მე ვფილი მიველ მკვლელობის ჩვენებაში, რომელმაც ორ სიცოცხლე მოსპო, მე კი ამისთვის გასამრავლო მომეცეს“.

ადამს სურდა, რომ დიდება მისთვის არა ამ, არამედ მეორე, თერთმეტი წლის შემდეგ გადაღებულ ფოტოს მოეტანა. ადამსმა მამინ კომუნისტური ვიეტნამიდან ლტოლვილებით საცხე ნავი გადაიღო, რომელსაც ტილიანდმა მიღებაზე უარი განუცხადა. ამ ფოტომ შეერთებულ შტატების პრეზიდენტ კარტერი და კონგრესი აიძულა, ვიეტნამელი ლტოლვილებისთვის თავშესაფარი მიეცათ. ურნად „ტიამსში“ ელი ადამსი წერდა: „გენერალმა მოკლა ვიეტნამელი პარტიზანი; მე კი გენერალს მოკალი ჩემი ფოტოგამარტობი. ფოტოგრაფია უმძღვრეზი იარაღია, ხალხს სჯერა მისი, მაგრამ ისიც ცრუობს, მხოლოდ ნახევარსიმარტოებს დაღავენ“.

აშშ-ში მცხოვრებ ნუგუზ ნიკო ლიანს და მის ოჯახს ადამსმა ბოდიში მოუხადა იმ ფოტოს გამო, რომელმაც მათი ცხოვრება ვიოლოხეთად აქცია. გენერლის სიკვდილის შემდეგ ურნალისტი წერდა: „ეს კაცი გმირი იყო. ამერიკას ცრუებდ უნდა დაღვარა, როცა მისი სიკვდილი შეტყუო. ვწუხვარ, რომ ამ ქვეყნიდან ისე წაივია, მას მხოლოდ როგორც ცვლ კაცს იცნობდნენ“.

ადამსს სულ 13 შეთარაღებული კონფლიქტი გააშუქა. მუშაობდა „ასოშიოტივტ პრესში“, „ტიამსში“, „ნიუსუკომი“. სიცოცხლის ბოლოს ცნობილი პოლიტიკოსების და მძინეპროტესტების ფოტოგრაფებად დაიწყო. მოღუერი ურნალისტივისსაც უმუშაობდა. ბევრი პრეზიდენტის ცნობილი ფოტოს ავტორია, — დაწყებული ნიქსონი და ბუში-უძრციონი დამთავრებული. მას გადაღებული აქვს რომის პაპის, ანვარ სადათის, ფიდელ კასტროს და ინდოა განდის ფოტოპორტრეტები.

ელი ადამსს შრომა მრავალი ვილირით დაუფესდა — მიღებული აქვს პრესტიჟული პრემიები: პულიცერის (1969), რობერტ კაპას (1978), ჯორჯ პოლკის (1968, 1977, 1978 წლები) პრემიები.

ელი ადამსი 2004 წლის 19 სექტემბერს, ნიუ-იორკში გარდაიცვალა.

# აქერიქელი აქსპერიბები ქართველი ქართობრძარძის შირქ შეღბანილი რუქებით სარბებლობენ

სამხედრო საქმანიბა კარტორგრაფიის გარშე რომ წარბოუდგენვლია, ამაზე ლაბარაკო ზედმეტია. ეს უძველესი მეტენიერება დღესაც, ოცდამეტრთე საუკუნეში, ისეთივე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, როგორიც საუკუნეების წინ იყო. სწორედ კარტორგრაფიისა და უშუალოდ სამხედრო კარტორგრაფიის მნიშვნელობასა და დანიშნულბაზე გვესაუბრებთან გეორგრაფულ მეტენიერბათა დოქტორი, ექსპერტი სამხედრო კარტორგრაფულ და სასაზღვრო საკითხებში ჯანსულ კეკელია და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეტენიერბათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი თენგიზ გორდღეზიანი.

— საიდან იწყებს ათვლას ქართული კარტორგრაფია?

თენგიზ გორდღეზიანი: — კარტორგრაფია უძველესი მეტენიერებაა. იგი უფრო ფარ-

თო დიპაზონის მეტენიერბაა, ვიდრე თვით გეორგრაფია. ვერ კიდევ ჩვენს წველთაღრიცხვამდელი პერიოდის ვველაზე ძველი კარტორგრაფიული წყაროები აღმოჩენილ იქნა თანამედროვე რუქმნიეთის, უკრაინის, საფრანგეთისა და მათ შორის, კავკასიის ტერიტორიებზე რა თქმა უნდა, ეს ძალიან პრიმიტიული ნახაზები იყო. ჩამოყალიბებული სახით კარტორგრაფია, როგორც მეტენიერბის დარგი, ათვლას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყებს. ცოტა უფრო ადრინდელია პეტრე პირველის დროინდელი რუსეთის, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის კარტორგრაფია, რომელიც ძირითადად სამხედრო ხასიათის იყო და სამხედრო მიზნებს ემსახურებოდა.

საქართველოში პირველი კარტორგრაფიული ნაწარმოები, თავისი გრადუსთა ბადით, ვახუშტი ბერატონმა შექმნა, ეს იყო მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი. ვახუშტის ეკუთვნის საერთოდ

საქართველოსა და მიმდებარე ტერიტორიების რუკათა სერია, რომელიც შემდგომ ატლასის სახით დამკვიდრდა. თავის დროზე გამოცა კიდევ ვახუშტისეული ატლასი. მართალია, ეს იყო ჩვეულებრივი ატლასი, მაგრამ მაშინდელი საქართველოში ამას სამხედრო მიზნებისთვისაც იყენებდნენ.

— რითი განსხვავდება ვახუშტისეული რუკები თანამედროვე ქართული რუკებისაგან?

— ძირითადი სხვაობა მაინც ის არის, რომ დღეს რუკები კომპიუტერთით, სპეციალური გრაფიკული პროგრამებით იქმნება, ხოლო მაშინდელი რუკა მთლიანად ხელით იყო შექმნილი, თითოეული დეტალი, თითოეული მთა და ხეობა, ასევე წარწერები ხელით იყო შესრულებული.

— რა ძირითადი ცვლილებებია ჩვენი ქვეყნის ფართობთან დაკავშირებით?



— კატასტროფული სხვაობა. მასინ საქართველოს ტერიტორია დაახლოებით 102 ათასი კვადრატული კილომეტრი იყო. დაახლოებით ერთად აღებული საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. მიუხედავად, სომხეთი და აზერბაიჯანი. მიუხედავად, სომხეთი და აზერბაიჯანი. მიუხედავად, სომხეთი და აზერბაიჯანი.

— რამდენად არის საფრთხე, რომ ეს ფართობი კიდევ უფრო შემცირდეს, არაოპტიმალური ინფორმაციით, სომხეთი საზღვარს მეტრობით გადამოსწევს ხოლმე.

ჯანსუღ კეკელია: — ექსპერტი ვარ ამ საკითხებში და ვმუშაობ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალურ კომისიაში, რომელიც დაკავებულია საზღვრების დემარკაციით. წინააღმდეგი ვარ ამგვარი ინფორმაციის გაერცხვებისა. არც ასე მარტივადია საქმე, — სომხეთი ასე იოლად ვერ მოახერხებენ საზღვრის გადმოწევას.

თეგვიზ გორდეზიანი: — მართალია, დიდი პრობლემები გვაქვს აზერბაიჯანთან დავითგარეჯის კომპლექსის გავი, მაგრამ ახლა შედარებით დარეგულირებულია სიტუაცია, მაგრამ როგორც ვიცი, ქართულ მხარეს კომპლექსის სანაცვლოდ მოუხდა გარკვეული სიმაღლეების დათმობა. ეს კი ძალიან დიდი დანაკარგია, რადგან სამხედრო თვალსაზრისით ტერიტორია გეოსტრატეგიული სიმაღლიდან კონტროლდება.

— სამხედრო თვალსაზრისით, რა მასშტაბის რუკები გამოიყენება?

ჯანსუღ კეკელია: — ტოპოგრაფიული სამხედრო რუკები, ძირითადად, ერთი შეფარდებულია 200000-თან, 50000-თან ან 25000-თან. პირველ შემთხვევაში ერთი სანტიმეტრი აღნიშნავს 2 კმ-ს, მეორეში — 500 მეტრს, ხოლო მესამეში — 250 მეტრს.

— რამდენად მნიშვნელოვანია კარტოგრაფია სამხედრო საქმიანობაში?

ჯანსუღ კეკელია: — კარტოგრაფიის გარეშე სამხედრო ოპერაციის დაგეგმვა და ჩატარება შეუძლებელია.

თეგვიზ გორდეზიანი: — კარტოგრაფიას აქვს ოთხი ასპექტი. ერთ-ერთია სწორედ სამხედრო კარტოგრაფია. იგი ისწავლება ყველა სამხედრო უწყებაში, სამხედრო დაწესებულებაში და, რაც მთავარია, სამხედრო სასწავლებლებში. აქ ისწავლება სწორედ სამხედრო დანიშნულების რუკების შედგენის ხერხები, მეთოდები, ასწავლიან მათზე მუშაობას. აქედან გამომდინარე, კარტოგრაფია საკმაოდ სილიური სამხედრო დარგია.

— ვინ ადგენს სამხედრო რუკებს?

ჯანსუღ კეკელია: — აუცილებლად სამხედრო ტოპოგრაფები. თუმცა, ნებისმიერი სამხედრო ვალდებულია, საკრიოების შემთხვევაში შექმნას კონკრეტული სამოქმედო არეალის რუკა. ის აგრეთვე ვალდებულია ფლობდეს რუკის ენას, რომ შეძლოს ნებისმიერი რუკის წაკითხვა. მოგეხსენებათ, რუკა შეიცავს სპეციფიკურ ნიშნობრივ სისტემას, რომელიც აგებულია მკაცრ მათემატიკურ საფუძველზე. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ზოგაერთი ქართველი სამხედრო არა შექმნას, არამედ რუკების წაკითხვასაც კი ვერ ახერხებს.

— რამდენიმე სიტყვით, რუკის ენის, ამ სპეციფიკური ნიშნობრივი

სისტემის შესახებ გვითხრობთ?

ჯანსუღ კეკელია: — ამ სისტემის საშუალებით რუკებზე აისახება კონკრეტული სივრცის, საგნებისა და მოვლენების დროული მდგომარეობა. ეს არის უროიერთობის ბრწყინვალე საშუალება შემსრულებელსა და მოსარგებლეს შორის. სპეციფიკური ნიშნობრივი სისტემა დეტალურ ინფორმაციას იძლევა. მაგალითად, ამ მომენტისათვის საჭირო ტერიტორიაზე დროებითი და მუდმივმოქმედი საცენტრული წერტილების შესახებ. არის ფიქსირების საზებია, ასევე იზონაზები, რომლებიც შეიძლება გამოსახდეს ტერპრატურას, წყნეას ტბის, მდინარის შემთხვევაში გამოსახავს სიღრმეს. ჯარის განლაგება და მიმართულება აღინიშნება ირებისა და სხვადასხვა ფერისა და ზომის







კლასილი ხაზების მეშვეობით. ერთი სიტყვით, ეს არის ინფორმაციის გადაცემის განსაკუთრებული ფორმა.

**— რა ძირითადი განსხვავებებია სამხედრო და სამოქალაქო რუკას შორის?**

ჯანსიუ კეკელია: — არსებობს ცნება ტოპოგრაფიული რუკა და თემატური რუკა. თემატური რუკა ნაკლებდეტალურია, ხოლო ტოპოგრაფიული რუკა მაღალდეტალურობით გამოირჩევა. სამხედრო ტოპოგრაფიულ რუკებზე დატანილია თითო ბილიკიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩანს პოლიგონებზე, სამხედრო დანიშნულების გზებსა და ზღუდეებზე. რუკებზე აგრეთვე დატანილია აეროდრომები, სამხედრო ქალაქები. სამოქალაქო რუკებზე ასეთი დეტალები არ არის გამოხატული.

თენგიზ გორდენაიანი: — სამხედრო რუკა ძალიან კონკრეტული და ყოვლისმომცველია. მაგალითად, ავილით ტოპოგრაფიული რუკა, რომელსაც სამხედროები იყენებენ. იქ ყველაფერი ხაზებით დატანილია ზედაპირის დახრილობა კი, არის თუ არა ტერიტორია ტყე-

იანი. თუ ტყიანია, ტოპოგრაფიული რუკა იძლევა ინფორმაციას, რამდენი მანძილი ხტება შორის. თუ ტერიტორიაზე ხილია, რუკა იძლევა ინფორმაციას ამ ხიდის სიგრძის, სივანისა და ტერიტორიების შესახებ, რასაც გადაშვევით მნიშვნელობა აქვს. ეს სამხედროს აძლევს ინფორმაციას, შეძლებს თუ ვერა ხილზე მძიმე ტექნიკის გატარებას.

**— რამდენად ზუსტია აეროსურათების მიხედვით შედგენილი რუკები?**

